მსოფლიო სასურსათო კრიზისი და საქართველო

კობა ბიწაძე

ექსპერტი

სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდა უკვე გახდა მასობრივი სოციალური მღელვარებების მიზეზი. კვლევითი ცენტრები ცდილობენ პროგნოზირება გაუკეთონ იმ ტენდენციებს, რომლებსაც სურსათის გაძვირება გამოიწვევს.

გაეროს გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ 2008 წელს უკვე 40 ღარიბი ქვეყანა განიცდის სურსათის მწვავე დეფიციტს.

გაეროს მონიტორინგის მონაცემებით, 2007 წელს ფასები სურსათზე წინა წელთან შედარებით 25-40%-ით გაიზარდა. მიმდინარე წელს კი ზრდის უფრო მაღალი ტემპია მოსალოდნელი.

ეს ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს მთელი ათწლეულის მონაცემებს: მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ფასები სურსათზე მხოლოდ 75%-ითაა გაზრდილი.

ფასების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა არა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა, არამედ აგრარული პროდუქციის გამოყენება არასასურსათო დანიშნულებით, კერძოდ, ბიოსაწვავის წარმოებისათვის.

2007 წლამდე ბიოდიზელის წარმოება ნაკლებადმომგებიანი იყო, რადგან მისი თვითღირებულება კონკურენციას ვერ უწევდა ნავთობის დაბალ ფასს. თუმცა, ნავთობპროდუქტების კატასტროფული გაძვირების შედეგად ბიოსაწვავის წარმოება რენტაბელური გახდა. ამ მოვლენის საფუძველზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ასკვნის, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში ბიოსაწვავის წარმოება 170%-ით გაიზრდება.

შესაბამისად გაიზრდება მოთხოვნა მარცვლოვან და ეთერზეთოვან კულტურებზე. უკვე დღეს შეერთებულ შტატებში მოყვანილი სიმინდის 25% გამოიყენება როგორც ნედლეული ბიოდიზელის წარმოებისათვის.

გარდა ამისა, სურსათზე ფასების ზრდის სხვა მიზეზებად ექსპერტები მიიჩნევენ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, კლიმატურ ცვლილებებს გლობალური დათბობის გამო (უდაბნოთა ფართობის ზრდა, გვალვების ხანგრძლივობის გაზრდა და ა.შ.), მინერალური სასუქების გაძვირებას.

მაგალითად, ჩინელებმა თავიანთი შემოსავლების ზრდის პროპორციულად დაიწყეს შედარებით ძვირი სურსათის მოხმარება. თუ 1985 წელს "საშუალო სტატისტიკური" ჩინელი 20 კილოგრამ ღორის ხორცს მოიხმარდა, დღეისათვის უკვე 50 კილოგრამს მიირთმევს.

ყოველწლიურად უდაბნოთა ფართობი ასობით კვადრატული კილომეტრით იზრდება. ასევე შესამჩნევი ხდება ნალექების არაპროპორციული გადანაწილება დედამიწის სხვადასხვა რეგიონებს შორის — როდესაც ერთ რეგიონში ჩვეულებრივზე მეტი წვიმა მოდის, მეორე რეგიონში კი უჩვეულოდ ხანგრძლივი გვალვაა...

ასეთ კლიმატურ ფონზე კიდევ უფრო გაიზრდება მოთხოვნა მარცვლეულ და ეთერზეთოვან კულტურებზე, რადგან ენერგოდამოკიდებული ქვეყნები (აშშ, ბრაზილია, ჩინეთი) **სახელმწიფო სუბსიდიებით უჭერენ მხარს ბიოსაწვავის წარმოებას**.

სუბსიდიების პოლიტიკის საპასუხოდ ბევრი ქვეყანა გამოიყენებს სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. მაგალითად, **ყაზახეთმა შეზღუდა ხორბლის ექსპორტი და საკმაოდ მკაცრი კვოტები დაადგინა იმ მიზნით, რომ მაღალი ფასით მოხიბლულმა მწარმოებლებმა მთელი სასურსათო მარაგები არ გაყიდონ.** უკრაინამ "ზედმეტად" შეზღუდა ხორბლის ექსპორტი იმისათვის, რომ შიდა ბაზარზე დაბალი ფასები შეენარჩუნებინა. ზოგი ქვეყანა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახდენს სასურსათო მარაგების შესყიდვას და იმავდროულად აძლიერებს მოსახლეობის ღატაკი ფენების დახმარებას სურსათით. ეგვიპტეში სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პური ისე იაფი ღირს, რომ 1 დოლარად 100 პურის ყიდვა შეიძლება. ეგვიპტელებიც ამ პურს ძირითადად პირუტყვის საკვებად იყენებენ.

სახელმწიფოთა მიერ რეგულირების აღნიშნული მეთოდების გამოყენება ქაოსს შეიტანს უკვე აწყობილ საბაზრო ურთიერთობებში, რაც ხელოვნურად გააძლიერებს ფასების მერყეობას.

თუმცა, ტექნიკურ კულტურებზე ფასების ზრდა სტიმულს აძლევს ბევრ ღატაკ ქვეყანას, რომ აწარმოონ ისეთი აგრარული პროდუქცია, რომელთა წარმოებაც ადრე წამგებიანი იყო. მალის, ტანზანიას, თუ ერითრეას უკვე მწირი მიწების გამოყენებაც შეუძლიათ ეთერზეთოვანი კულტურების მოსაყვანად. **მაგრამ, ასეთი ქვეყნები ვერ დასწევენ ფასების საერთო დონეს,**

რადგან თვითღირებულების სიდიდის გამო იძულებულნი იქნებიან მაღალ ფასად შესთავაზონ პროდუქცია მსოფლიო ბაზარს. მსოფლიო ბაზარი კი უკვე დღესაა მზად გადაიხადოს მეტი ფასი.

ასე რომ, ფასების ზრდის ტრენდი შენარჩუნდება, თუმცა, ალბათ წლის ბოლოსთვის დარეგულირდება და ზრდის ტემპიც მნიშვნელოვნად შემცირდება. ამას ხელს უწყობს ნავთობზე ფასების დაწევაც.

თუმცა, ნავთობის მნიშვნელოვანი გაიაფების შემთხვევაშიც კი ენერგოდამოკიდებული ქვეყნები მაინც განავითარებენ ბიოსაწვავის ინდუსტრიას იმ მიზნით, რომ ნაკლებად იყონ დამოკიდებული ისეთ მონოპოლისტ სპეკულანტებზე, როგორებიცაა: **რუსეთი, ირანი და ვენესუელა.**

ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლისათვის აშშ გააორმაგებს სიმინდის მოცულობას ბიოეთანოლის წარმოებისათვის — ყოველწლიურად 110 მლნ ტონა სიმინდი დაიხარჯება ამ მიზნით. ევროკავშირი კი იმავე პერიოდში 20 მილიონ ტონამდე გაზრდის იმ ხორბლის მოცულობას, რომელიც ბიოსაწვავის წარმოებაზე დაიხარჯება.

ასეთი ენერგეტიკული პოლიტიკა აგრარული პროდუქციის მთელი ასორტიმენტის გაძვირებას იწვევს. თვითონ აშშ-ში 2007 წლის განმავლობაში კვერცხი 33%-ით, რძე -31%-ით, ქათმის ხორცი 8,4%-ით, ხოლო ხორცი -11,5%-ით გაძვირდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში რძის ფასი მსოფლიო მასშტაბით გაიზარდა 2-ჯერ. ამის მიზეზი კი ფურაჟის გაძვირება იყო, რადგან ბიომასის დიდ ნაწილს უკვე ენერგეტიკული მიზნით იყენებენ. საერთო ჯამში სასურსათო პროდუქციაზე საიმპორტო ფასების ზრდამ 25% შეადგინა. ამან კიდევ უფრო დააშორა ინდუსტრიული და განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების დონეები. მდიდარ ქვეყნებში ოჯახის შემოსავლის მხოლოდ 10% იხარჯება კვებაზე, განვითარებად ქვეყნებში კი ამ ციფრმა 65%-ს მიაღწია.

სურსათის გაძვირებამ მასშტაბური სოციალური მღელვარება გამოიწვია მთელ რიგ ღარიბ ქვეყნებში – მექსიკა, მაროკო, უზბეკეთი, იემენი და ა.შ.

მდიდარ ქვეყნებში სურსათის გაძვირება არც ისე მტკივნეულია მოსახლეობის მაღალი შემოსავლების გამო, მაგრამ ევროკავშირის ბევრი ქვეყანა მაინც ეწინააღმდეგება ბიოსაწვავის წარმოების პროგრამებს.

ევროკავშირმა უარი განაცხადა ბიოდიზელის წარმოების სუბსიდირებაზე. ევროპაში არსებულმა ქარხნებმა ვერ გაუძლეს ნედლეულის გაძვირებას და გაკოტრების პირას მივიდნენ. მათი საწარმოო დატვირთვა 20 — 30%-მდე დაეცა. არსებული 13 საწარმოდან უმეტესობა დაშალეს და აშშ-ში გაყიდეს, რადგან ამერიკული ქარხნები დაბალ ფასად ღებულობენ დაძველებულ მარცვლეულს სახელმწიფოს სტრატეგიული მარაგებიდან.

ევროპამ ასევე უარი თქვა იმ გეგმაზე, რომლის მიხედვითაც 2020 წლისათვის ბიოსაწვავის წილი 10%-მდე უნდა ასულიყო.

მის ნაცვლად მიიღეს ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლისათვის ბიოდიზელის წილის გაზრდას მხოლოდ 4%-მდე.

აგრეთვე ეჭვის ქვეშ დააყენეს ბიოდიზელის ეკოლოგიური მიზანშეწონილობა – ბოლო დრომდე მიიჩნეოდა, რომ ბიოსაწვავი ნაკლებად აბინძურებს გარემოს და მისი გამონაბოლქვი არ აძლიერებს "სათბურის ეფექტს". თუმცა, ბრიტანელ მეცნიერთა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბიოდიზელის გამონაბოლქვი ოდნავ ნაკლებად მავნებელია. ეს უპირატესობა იმდენად მცირეა, რომ ბიოსაწვავი არ შეიძლება განიხილებოდეს გლობალურ დათბობასთან ბრძოლის საშუალებად. ამ მიზეზით ბრიტანეთმაც უარი განაცხადა ბიოსაწვავის პროგრამების მხარდაჭერაზე.

ევროპელებისგან განსხვავებით აშშ სულ უფრო აძლიერებს ბიოსაწვავის წარმოების სტიმულირებას. ახალი პროგრამის მიხედვით 2020 წლისათვის ბიოეთანოლის წარმოებამ 36 მლიარდ გალლონს უნდა მიაღწიოს.

ბიოდიზელის ამერიკულმა ქარხნებმა 2007 წელს 80% -ით გაზარდეს წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით. მთელი მოცულობა 1,7 მილიარდ ლიტრს აღემატება (ბიოეთანოლის წარმოება 2000-დან 2007 წლამდე გაოთხმაგდა და წელს 20 მილიარდ ლიტრს მიაღწია).

დღეისათვის ამერიკაში მოყვანილი სიმინდის 25% ბიოეთანოლის წარმოებაზე იხარჯება. მაგრამ სიმინდის წარმოება ვერ ეწევა მასზედ გაზრდილ მოთხოვნას, რის შედეგადაც მისი ფასი იზრდება.

ამერიკის ადმინისტრაცია კი ფასის ზრდის მთავარ მიზეზად ინდოეთისა და ჩინეთის მოსახლეობის მოხმარების ზრდას ასახელებს და ბიოსაწვავის წარმოების სტიმულირებას დღითი დღე აძლიერებს.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ამ მიმართულებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს კლიმატური დისბალანსები. თუ ისევ გაძლიერდა ნალექების გადანაწილების დისპროპორციები დედამიწის სხვადასხვა რეგიონებს შორის, მაშინ მოსავლიანობის მკვეთრი შემცირების გამო არათუ ბიოდიზელს გამოეცლება სანედლეულო ბაზა, არამედ პლანეტის მოსახლეობას შეექმნება შიმშილობის საფრთხე.

პრობლემების თავიდან აცილების მიზნით მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა რომის სასურსათო სამიტზე მიიღეს დეკლარაცია, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული ტენდენციების რეგულირებას.

სამიტზე შეთანხმებას მიაღწიეს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. იმ ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარება, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სასურსათო კრიზისით;

2. სურსათის ექსპორტზე შეზღუდვების შესუსტება ან სრული გაუქმება პირველ რიგში, ჰუმანიტარული მიზნებით;

3. სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციების გაზრდა.

ამ მიზნების მისაღწევად შესაბამისი ფინანსური სახსრებიც გამოიყო. გაერომ გადაწყვიტა 100 მილიონი დოლარი დახარჯოს განსაკუთრებულ სიტუაციებში.

მსოფლიო ბანკმა გამოყო 1,2 მილიარდი, ხოლო განვითარების ისლამურმა ბანკმა კი 1,5 მილიარდი დოლარი განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის.

განვითარებადი ქვეყნების დახმარების სურვილი გამოთქვეს ასევე ესპანეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, ქუვეიტმა, ახალმა ზელანდიამ, ვენესუელამ და სხვ. ეს ქვეყნები მზად არიან საერთო ჯამში გამოყონ 6 მილიარდი დოლარი ღარიბი ქვეყნების ფერმერების ტექნიკური დახმრებისათვის.

ალბათ საქართველოსაც აქვს შანსი, რომ ამ სახსრებიდან მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარებები მიიღოს. ფასების ზრდის შედეგად საქართველოშიც რენტაბელური გახდება ისეთი ტექნიკური კულტურების მოყვანა, რომელთა წარმოებაც ადრე წამგებიანი იყო მცირე მასშტაბების გამო.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოში არსებობს საკმაოდ კარგი კლიმატური პირობები ისეთი კულტურების მოსაყვანად, როგორიცაა: **სორგო, რაფსი** ან **ამარანტი**.

გაეროს სასურსათო კომისიამ ამარანტი XXI-ე საუკუნის მცენარედ აღიარა. ამარანტი თავისი მოსავლიანობით აღემატება როგორც სიმინდს, ასევე ხორბალს და სხვა ყველა მარცვლოვან კულტურებს. 1 ჰექტარზე მიიღება 80 ცენტნერზე მეტი ბიომასა. ამ მცენარის ყველა ნაწილი – ფესვიდან დაწყებული და თესლით დამთავრებული – სამკურნალოა. მისი მარცვლებისგან მიიღება ზეთი ან ფქვილი. მის ფოთლებს სალათებს უმატებენ. **რძით მომზადებულ ამარანტის პურს ნეპალში ღმერთების საკვებად მიიჩნევენ. იგივე აზრზე არიან ამერიკელი ინდიელებიც**. ამარანტი ადვილად ხარობს ბევრ ისეთ ნიადაგზე, რომლებსაც სხვა კულტურული მცენარეები ვერ ეთვისებიან.

სორგო – გვალვაგამძლე მცენარეა, ადვილად ეგუება მლაშე და მჟავე ნიადაგებს, რომლებიც საქართველოში საკმაოდ ბევრი და მიტოვებულია. არც თუ ისე შორეულ წარსულში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვითომდა მილიონობით დოლარს ხარჯავდა მლაშე და მჟავე ნიადაგების დრენაჟისთვის, მაგრამ თუ როგორ ხდებოდა ეს — ყველამ კარგად იცის. ეს ნიადაგები ისევ ისეთივე დარჩა, როგორც იყო, თუმცა დღესდღეობით მაინც გამოსადეგია სორგოს კულტივირებისათვის. სორგოსგან ათეულობით დასახელების პროდუქტი მიიღება, ნარჩენები კი კარგი საკვებია პირუტყვისათვის. სორგოს ზეთი ერთ-ერთი საუკეთესო ნედლეულია ბიოდიზელისათვის.

რაფსი ადვილად ხარობს თიხნარ ნიადაგებზე — ასეთი მიწები კი საქართველოში ნამდვილად ბევრია. ამ კულტურისაგან მიიღება ყველაზე მეტი ზეთი ბიოეთანოლისათვის – 1,1 ტონა ჰექტარიდან (შედარებისთვის 600კგ მზესუმზირისგან და 300 კგ სიმინდისაგან), ასევე მიიღება 3 ტონა ბიომასა, რაც საუკეთესო საკვებია შინაური ცხოველებისთვის.

ფურაჟის გაძვირების ფონზე ასეთი ტექნიკური კულტურების მოყვანა საქართველოს მეცხოველეობასაც წაადგება.

ალბათ სხვა ტექნიკური კულტურებისთვისაც მოიძებნება მიტოვებული სახნავ-სათესი მიწები საქართველოს ტერიტორიაზე.

მათ მოსაყვანად აუცილებელ ტექნიკას და ტექნოლოგიებს კი ალბათ ზემოთაღნიშნული დონორი ქვეყნები გვაჩუქებენ.

ასევე რენტაბელური შეიძლება გახდეს საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის მოყვანაც. რომც არ იყოს მომგებიანი, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ მაღალ ფასებში შეისყიდოს მარცვლეულის ძირითადი სახეობები, როგორც ამას ამერიკის მთავრობა აკეთებს.

არ არის გამორიცხული, მასშტაბური კრიზისების შემთხვევაში შეიძლება მეგობარმა ქვეყნებმაც კი გვითხრან უარი სურსათით მომარაგებაზე, რადგან ყველა ქვეყანა პირველ რიგში თავის მოსახლეობაზე იზრუნებს!

ამიტომ, უნდა შემუშავდეს სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც პირველ რიგში, სტრატეგიული მარაგების შექმნას უზრუნველყოფს.